სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/51

ქ. თბილისი 29 აპრილი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი (დანართი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-04/419 დადგენილება.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**